


ნინო გორდელაძე
თინათინ კუხიანიძე
გვანცა ჩხენკელი

ნამდვილი და მოგონილი ამბეები



საკითხავი და სავარჯიშოები მეოთხეკლასელთათვის






სახელი _____

გვარი _____

ქალაქი / სოფელი _____

სკოლა _____

კლასი _____



სარჩევი

წაკითხულის გაზრება


ლეგენდა ნარიყალაზე	6
XIX საუკუნის თბილისური ამბები	
მგზავრობა „იაპონურად“	9
პირველი თბილისელი აერონავტი	12
მოგზაურობა სიზმარეთში	15
ყველაზე კარგი პაპა	21
I ნაწილი	21
II ნაწილი	25
ქანდაკეები თბილისში	30
ვარსკვლავ-ბიჭუნა	35
I ნაწილი (ფიჭვის ტყეში)	35
II ნაწილი (ათი წლის შემდეგ)	38
III ნაწილი (ქალაქის კარი)	42
ვარდის ფესვი	47

მწერლის სახელოსნო

პირველი მოთხრობა	52
თხრობის მთა	54
შექმენით პერსონაჟი	56
ვინ ჰყვება ამბავს	58
შემდეგ რა ხდება	60
დროში მოგზაურობა	62

წაკითხულის გააზრება

წიგნის ამ ნაწილში მოცემულია:
თქვენი ასაკისთვის შესაბამისი ენით დაწერილი
მხატვრული და შემეცნებითი ტექსტები, სახალისო
ილუსტრაციები, ცხადი ინსტრუქციები და
შეკითხვები წაკითხულის გააზრების უნარის
გასავითარებლად.



ძველი თბილისი

სამი ფრაგმენტი საყმაწვილო ენციკლოპედიიდან
ავტორი: თეიმურაზ ბერიძე


ლეგენდა ნარიყალაზე

ნარიყალას მრავალი ლეგენდა უკავშირდება. ერთ-ერთი მათგანი სპარსელების თავდასხმას ასახავს:

ერთხელ, გაზაფხულის პირზე, ციხეს დიდძალი მტერი მიადგა. ციხეში მყოფ მეომრებს სარდლობდა სახელგანთქმული გმირი მანუჩა დიღმელი. 100 დღე-ღამეს ებრძოდნენ ქართველები მტრებს, მაგრამ მათ გულს შიში არ დასტყობია და მარჯვენას – დალლა. ბოლოს დამპყრობლებმა ეშმაკობა იხმარეს და ციხეს წყალი გადაუკეტეს. ცუდ დღეში ჩაცვივდნენ მეციხოვნეები.

ერთდღეს მტრის ჯარის მეთაურმა, რომელიც უკვე გამარჯვებას ზეიმობდა, თვალი მოჰკრა გალავანზე გადმომდგარ ქალს, რომელსაც ხელები ცისკენ აეპყრო. მანუჩას მშვენიერი ასული გულმხურვალედ ლოცულობდა თავისი ქვეყნისთვის.

მტრად მოსულ სპარსს გულში ჩავარდნია ამ ქალის ტრფობა. ბევრი აღარ უფიქრია და ერთ მშვენიერ დღესაც ციხეში შეპა-



ნარიყალა

რულა, მოუხსნია პირი და სულ დანვრილებით მოუყოლია სპარსელთა ჯარის საიდუმლო გეგმების შესახებ. ალბათ იფიქრა, ქალის მამის გულს მოვიგებო.

მანუჩა გაცეცხლებულა, ამოულია ხმალი და ამ ყბედისთვის თავი წაუცლია, მერე ციხიდან გადმოუგდია და ხმამალა დაუძახია: „მოლა-ლატეს ქალს როგორ მივცემ? ვინც თავისი ხალხის ერთგულება არ იცის, მზის ყურების ღირსი არ არის! ქართველებს გვძულს მოლალატეები!“

შეშინებული მოძალადეები გაქცეულან. ასე გადაურჩა ნარიყალა დანგრევას, თბილისი კი – აოხრებას.



გაიაზრე:

1. ვინ სარდლობდა ქართველ მეომრებს ნარიყალას გადასარჩენად?

2. თბილისის რომელ უბანს უკავშირდება მთავარსარდალ მანუჩას წარმოშობა?

3. რამდენი თვე ებრძოდნენ ქართველები მტერს?

4. ამოიწერე პირველი აბზაციდან წინადადება, რომელშიც ჩანს ქართველი მეომრების შეუდრეკლობა:

5. რატომ გადაწყვიტა სპარსმა მეომარმა ქართველებთან მისვლა და მათი დახმარება?

6. მე-5 აბზაციდან ამოიწერე ის ორი სიტყვა, რომლითაც ვიგებთ, რომ სპარსმა, რაც იცოდა, ყველაფერი უამბო ქართველებს:

7. როგორ ფიქრობთ, რატომ გაიქცნენ სპარსელები? რამ შეაშინა ისინი?

8. მოგწონთ თუ არა მანუჩას საქციელი? დაასაბუთეთ თქვენი აზრი:

9. გალავანი და მესერი ორივე ღობეა. რა განსხვავებაა მათ შორის? აღწერე:

გალავანი

მესერი

ამოირჩიე ერთ-ერთი სიტყვა და შეადგინე წინადადება:

XIX საუკუნის თბილისური ამბები - მგზავრობა „იაპონურად“

თბილისს ჰყავდა „კურტიანი მუშების“ მრავალრიცხოვანი ლაშქარი, რომლის მთავარი შესაკრები ადგილი თათრის მოედანი* იყო. ესენი ტვირთის გადამზიდავები იყვნენ და განთქმული ყოფილან თავიანთი პატიოსნებით. ერთი რუსი მოგზაური, რომელიც თბილისს XIX ს-ის 80-იან წლებში ესტუმრა, წერს: „თბილისის კურტიანი მუშები ატარებდნენ უპატიოსნეს ადამიანთა სახელს. ჩამოსულები სრულიად უშიშრად ანდობდნენ თავიანთ ბარგს და საჭიროდ არ მიიჩნევდნენ, უკან გაჰყოლოდნენ“.



მკურცნე



*თათრის მოედანი – ახლანდელი გორგასლის მოედანი მეტეხის ხიდან.



დიმიტრი ყიფიანი – საზოგადო მოღვაწე, დაიბადა 1814 წელს.

1876 წელს თბილისის მერი გახდა.

1887 წელს ვერაგულად მოკლეს რუსეთში.

დაკრძალულია თბილისის საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

ზაფხულის გადაუღებელი კოკისპირული წვიმების შემდეგ, ნიაღვრების გამო, თბილისის ქუჩებში სიარული ძნელი იყო. ჭირდა ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა. ასეთ დროს მაშველების როლში გამოდიოდნენ კურტნიანი* მუშები, რომლებიც გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ემსახურებოდნენ გასაჭირში ჩავარდნილ ქალაქელებს.

დიმიტრი ყიფიანი იგონებს: „არა ერთხელ მინახავს მე, როგორ მოიყვანდნენ ხოლმე ქოლგის ქვეშ შეფარებულ მანდილოსნებს იმგვარადვე ორიგინალურად, როგორც შორეულ იაპონიაში, ზორბა მუშის კისერზე დამჯდარს“.

XIX ს-ის 80-იან წლებში თბილისში 2000 კურტნიანი მუშა იყო, ძირითადად, ქართველები.

* კურტანი – ზურგით ტვირთის საზიდავი უნაგირის მსგავსი ხის საგანი.

გაიზრე:

1. რა საქმიანობას ეწეოდნენ კურტნიანი მუშები?

2. რამდენი კურტნიანი მუშა იყო თბილისში XIX ს-ის 80-იანი წლებისთვის?

3. რაში გამოიხატებოდა კურტნიანი მუშების პატიოსნება?

ამოინერე შესაბამისი წინადადება:

4. ვინ იგონებს კურტნიანი მუშების საქმიანობას?

5. აღწერე მგზავრობა „იაპონურად“:

6. ჩამოწერე ხუთი ინფორმაცია, რომელიც XIX ს-ის თბილისის შესახებ გაიგე:

1. _____

2. _____

3. _____

4. _____

5. _____

7. რას ნიშნავს სიტყვა ზორბა?

ა) ფართოს ბ) დიდს გ) მოუქნელს

8. შეარჩიე ის სიტყვა, რომელიც აზრობრივად წინადადების შინაარსს შეეფერება და ჩანერე გამოტოვებულ ადგილას:

მრგვალი, ლამაზი, ზორბა, გემრიელი

მეთევზის ბადეს ზღვიდან უამრავი თევზი ამოჰყვა. მათ შორის გამოირჩეოდა ერთი _____ თევზი, რომელიც ორმა კაცმა ძლივს ასწია.

9. რას ნიშნავს სიტყვა „ორიგინალური“ – მოიძიე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში და გაეცანი განმარტებას.

10. ჩამოთვლილთაგან რომელია „კოკისპირული წვიმის“ სინონიმი:

ა) თავსხმა ბ) ყუყუნა წვიმა გ) შხაპუნა წვიმა

პირველი თბილისელი აერონავტი

1882 წელს, 10 ნოემბერს მუშტაიდის ბალიდან ერთი ფრანგი პილოტი საჰაერო ბურთით ჰაერში 200-300 მეტრზე ავიდა და შორიახლოს დაეშვა.

ერთი თვის შემდეგ გაზეთი „კავკაზი“ მკითხველს ატყობინებდა: „კვირას, 5 დეკემბერს, მუშტაიდის ბალის ახლოს, ცნობილი ფრანგი აერონავტი, ბატონი ბადე, რომელმაც უკვე მოიპოვა პოპულარობა, აფრინდება მესამედ ცოცხალ ვირთან ერთად. ბატონი ბადე დარწმუნებულია, რომ თბილისის საზოგადოება არ დატოვებს მას უყურადღებოდ. დასწრების ფასია 50 კაპიკი*. ბურთის აფრენა დაიწყება შუადღის 2 საათზე“.

ჰაერში ვირთან ერთად კიდევ ერთი უცხოელი აფრენილა. ვირი იმ დროისთვის თბილისში საყოველთაოდ ცნობილ მედუქნეს – აბრაგუნეს ეკუთვნოდა.

ამის შემდეგ თბილისელმა ბიზნესმენებმა გადაწყვიტეს, ჰაერნაოსნობისთვის დაედოთ სათავე. ერთ დღეს ალექსანდრეს ბაღში მათ, ფრანგების მსგავსად, საჰაერო ბურთში ვირი ჩასვეს და ასაფრენად მოამზადეს, მაგრამ ქართველთაგან არავინ ისურვა ფრენა, მით უფრო, ვირთან ერთად. ცხოველს მარტო მოუხდა ჰაერში ასვლა. ბურთი ავლაბარში, მეტეხის ციხის შორიახლოს დაეშვა. როდესაც ბიზნესმენები მივიდნენ, ვირი კალათაში აღარ იჯდა, ვიღაცას ემარჯვა და პირუტყვი მოეპარა. გაფრენის იდეის ავტორები იძულებულნი გახდნენ, ვირის მფლობელისთვის ფული გადაეხადათ.

*კაპიკი – ძველი ფულის ერთეული, ხურდა ფული.

